


კრედიტის

გოლოვინის პრესმეცხე თავ. მუხრან-ბაკონის სახლში კვლევის ქვემოდა. ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: В. Тиф. листъ, въ редакцію «Дროба»



ფასი ბანსადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქაროლის, რუსულს და სხვა ენებზედ. თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბუნებს ავტორს. ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპუიკა

ბაჟონის ყოველ დღე მისაგზავნის ბარდა.

მიიღება ხელის-მოწერა გა-ზეთ

დროებაზე

ზირველის სექტემბრიდან წლის დამლევაზე. ფასი ოთხი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის სამი მანათი.

«დროების» ნომრები თითო მარად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღა-ზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამ-ბაქოს მაღაზიაში,

დუშეთში, კაბო ბაძაროვ-თან.

გორში, სასოგადოების დე-პოში, ალალო თუთაყვითან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

საქართველო

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

3 სექტემბერს.

კომპრომისი. «ჩრდილოეთ გერ-მანიის საზოგადო გაზეთის» ბულ-გარიანში რუსეთის პოლიტიკაზედ წერილის გამო, Journal de St-Petersbourg აცხადებს კმაყოფი-ლებას და ამბობს, რომ რუსეთი არავითარს პატივის-მოყვარეობის აზრს არ მისდევს ბულგარიანში,

«დროების» ქელტონი, 6 სექტემბ.

წერილი კრედიტისადმი *)

(დასასრული)

მსოფლიო, ათ-ათ თუმან შემოსავ-ლის ჩვენება იყო და მყარებული ისეთს საბუთებზედ, რომ აღარაფერი გვიყის შემოტანა მათს სისწორეზედ და უცვა-ლებლობაზედ არ შემოიტანებოდეს. მაშ რისგან მოხდა, რომ მამულე-ბის პატრონებმა ასე გულ-გრილად მიანებეს ბანკს და გირავებული მამუ-ლები?

ამის პასუხს ბანკის მმართველობა გვაძლევს თვისს კრებისადმი მოხსენე-ბაში, რომელიც ჩართულია წლის ანგარიშთან.

საზოგადო მიზეზები მთელის იმპე-რიისა იმისთანები ყოფილან, რომ შეუმცირებიათ ნდობა ბანკებისადმი და დაუფოლებიათ გირავნობის ფურც-ლები. სწორე და უტყუარია ეს მი-

*) იხ. «დროება» № 174.

მაგრამ საჭირო იყო ბოლო მოე-დო იმ მდგომარეობისათვის, რომელსაც შეეძლო შეერეო ავტო-რიტეტი მთავრისა და მისადმი ბულგარიის ხალხის სიყვარული; ამ აზრს მისდევს მისია იონინისა; გარდაწვეტილია, მიეცეს ბულგა-რიის სახალხო კრებას ახალი ორგანიზაციის დებულება დაფუძნე-ბული კონსერვატიულს წესებზედ, რადგანაც მხოლოდ ამ გზით შესაძლო არს განახლდეს ერ-თობა მთავრისა და ხალხისა, და მკვიდრდეს უფლება მთავრი-სა და ხალხი დამშვიდდეს. მა-შასადავე იონინის მისიას სახეში აქვს მორიგება და დაწყნარება; სახელმწიფოები ამამი არ ეჭვო-ბენ და ამისთვის უცხოელი გაზე-თების დაპარაკი. რუსეთის პატივ-მოყვარე ფიქრების შესახებ უად-გილო და ჭანჭანოურია.

კომპრომისი. გლადსტონი აზი-რებს თავის სახლობითურთ ზღვით სეირნობას და ჭეჭირობს ამ სე-ირნობის დროს კომპრომისისც წავიდეს.

პარიში. ოპოციანური ცნობე-ბის ტონკინიდან, რომ ჭრანკუ-ზებმა პირველს სექტემბერს და-იპყრეს მტრის პოზიცია და ამ დროს 54 კაცი მოუკვდათ და და-ეჭრათ; მტრის დანაკლისი 1000 კაცამდის აღის.

ზეზები, მაგრამ... მაგარი ეს არის, რომ ბანკისადმი უნდობლობა და გი-რავნობის ფურცლების დაფოლება არ მოახდენს ბანკის კრიზისსა, მდგო-მარეობის საშიშარს წამსა; ამ სწეუ-ლებას ღიდ ხანს გაუძლებს ბანკი, რომელიც ჩვენი ბანკისადმი მოწყო-ბილია, — მხოლოდ კი მოზარდობას შეაყენებს. ჯერ ყელში ესა გაქვს გაჩხირული, რომ მოგირავნებს აღარ შემოაქვთ წლიური საძლევე; საში-შიც ეს არის და ძალაც აქ უნდა მი-ვიტანოთ, რომ ეს განვარინოთ. ამას მხოლოდ იმათ ვეუბნები, ვინც სა-ფუძვლიანად იცის ჩვენი ბანკის მო-წყობა და მისი წარმოების ძარღვე-ბი.

მეორე მიზეზები, ადგილობრივი: 1) მთავარ - სამმართველოს გაუქმება, 2) ტრანზიტის გაუქმების ხმა, 3) რკი-ნის გზის გახსნა ბაქოზედ და მასთან შეერთებული აზრი, რომ საქმეები და ვაჭრობა სხვა გზას დაადგებიანო, ამცრობენ საკუთრივ თბილისის მა-მულეებს 20%-ით.

თბილისი, 5 სექტემბერი.

ამ უკანასკნელ წლების განმავა-ლობაში იმის მუდმივი ჩივილი ქა-ლალდის ფულის ღირებულების შემ-ცირებაზე, დაცემაზე. რასაკვირველია, ეს გარემოება ფრიად საყურადღებოა ყველაათვის, ვისაც რივიანად ესმის ეკონომიური საგნების მნიშვნელობა ხალხის და სახელმწიფოს ცხოვე-ბაში, რომლის წეს-წყობილებას მკიდ-რო კავშირი აქვს ხალხის ეკონომიურ მდგომარეობასთან. შულის ღირებუ-ლების დაცემა მძლავრად მოქმედებს მთელს სახელმწიფო და საზოგადო ორგანიზმზე, სჩაგრავს მას და იჩენს თავის გავლენას ყოველს წრეზე, ყო-ველს წოდებაზე და ყოველს საზოგა-დო და სახელმწიფო საქმეზე; ამ გავ-ლენას შევნიშნავთ, თუ დავაკვირ-დებით იმ წოდების მდგომარეობას, რე-მელიც სტოკორობს თავის შრომით, მინდობია მხოლოდ თავის ჭეცადი-ნეობას და იძულებულია ამ ქაშად შემციროს თავის მოთხოვნილება ჟუკანასკნელს წერტილამდის. მშრო-მელი ხალხის შევიწროებული მდგო-მარეობა სჩაგრავს მთელს სახელმწი-ფო სხეულს, რადგანაც ხალხი არის საუფუფელო, რომელზედაც აგებუ-ლია სახელმწიფო და საზოგადო შე-ნობა; ეს გამოიხატება ვაჭრობის, მრეწველობის, ყოველ გვარის წარ-მოების და განათლების დაცემასა და შემცირებაში. იმ სახელმწიფოს, რომ-ლის ფულის ღირებულება დღითი-დღეზე მცირდება, ნდობა ეკარგება უცხო სახელმწიფოთა შორის; მის ვაჭრობას და შინაურს პოლიტიკურს

მს მიზეზები ამტყუნებენ ზემოთ მოყვანილს საბუთებს, რომ ქალაქის მამულეებს ათს თუმან შემოსავალზედ სამოცი თუმანი ეძლევა, და მით უპი-რატესობა სოფლის მამულეებისა მტკი-ცდება, რადგან მას იმავე შემოსა-ვალზედ ოთხმოცი — ეძლევა. თუ კი ამ გვარი შემთხვევები მხედველობაში მიღებული არ იქნება, მაშინ ორმო-ციც რომ მიეცეს ქალაქის მამულს, მაინც კიდევ უპირატესობა ამისკენ რჩება, რადგან ქალაქის მამულეების შემოსავალი ისე ხშირად იცვლება, როგორც ტარასი.

აიღვე შეიძლება დავაჯეროთ გული, რომ შემოსავლის ანგარიში და მისი ნორმად მიღება უცოდველი იყო, მაგრამ გარეშე მიზეზებმა მაინც კი-დეე დაასწულეს ბანკი და საშიშრო-ებაში ჩაადგეს. 6) ეს გარეშე მიზეზები ხომ სოფ-ლის მამულეებზედაც იმოქმედებდენ ისე როგორც ქალაქისაზედ, მაშ როგორ მოხდა, რომ წინამხედველობა ორი-ვეს მიღებაში თანასწორე გვექონდა

წყობილებას ეჭვით შეჰყურებენ და სკდილობენ ისარგებლონ ყოველს შემთხვევით და კიდევ უფრო დასცენ იგი ის ქვეყანა, რომლის ფულის ღირებულება შემცირებულია, იძუ-ლებულია გაჰყიდოს თავისი ნაწარ-მოები უცხოეთზე ნაკლებს ფასით და თუ თვითონ რაიმეს ყიდულობს უცხოეთიდან, უნდა მისცეს მომეტე-ბული ფასი, რადგანაც მის ფულს ნდობა აღარა აქვს. ამ გვარს მდგო-მარეობაში იმყოფება ამ ქაშად რუ-სეთი, რომლის ქალალდის ფულს თან-და-თან ეკარგება ფასი, რაიცა გვიჩვენებს ოქროს ნაკლებობას სა-ხელმწიფოში. რუსეთს ერთბაშად და მოულოდნელად არა სტუმრებია ამ გვარი ჭინანსიური სენი; იგი თან-და-თან შემოიჭრია მას და გაუგდა ყოველს ძარღვში. შულის ღირებუ-ლების შემცირება იწყოა რუსეთში ში-რიმის ომის შემდეგ; უკანასკნელმა ომმა კიდევ უფრო განაძლიერა ეს ჭინანსიური სენი. ამ ორმა ომიანო-ბამ განდევნა რუსეთიდან ოქრო უცხოეთისაკენ; ომიანობის გარდა, რუსეთის თანამედროე შევიწროე-ბულმა მდგომარეობამ დააფრთხოა კა-პიტალისტები, რომელნიც იძულები-ბულინი გახდენ თავიანთი ფულები გაეტანათ რუსეთიდან და გაეცვალათ უცხოეთში მეტალიურს ფულზე, რა-საკვირველია, ზარალით.

ღიდი ხანია, რაც შემოთ მოხსე-ნებულს ჭინანსიურს სენზე მიმართუ-ლია მმართველობის და მოწერლობის ყურადღება; ბევრი რამ საშუალება უხმარიათ რუსულის ფულის მალსად-გენად, ბევრი პროექტები მოუგო-

და მარტო ქალაქის მამულეებმა კი გვაზარალებს?

ამის მიზეზად ის შემოგვა, რაც სხე-მით მოვიხსენიეთ თბილისის მამუ-ლების დამამცრობელად და ჩვენც ვიკმაროთ, რომ თუმცა ანგარიში და წინამხედველობა უცოდველი იყენენ, მაგრამ შეერთებამ ერთად მრავალთა მიზეზთა გააცრუეს წინამხედველობა, და შეიძლეს დამცირება თბილისის მამულეებისა 20%-დნ.

სოტას ხანს, ორიოდ მძიტიყვით მიუბრუნდეთ მმართველობისადგან მო-გონილს წამლობას, — ჰიპოტეკას, — რომლისთვისაც მუშამდგომლობს მთავ-რობასთან.

ჰიპოტეკის ისე მოესწორება ჩვენს საქ-მეს, როგორც გარჩილა ცხაშმის შემ-დეგ. წამალი ჩვენს ხელში რაც არის, ის თუ დღევანდლამდინ უსაქმოდ იყო, ახლა მაინც დაედრათ: საქმის ცარვად დაკვირება ყოველს ცალკე საქმეში, სასტიკი პირუთენელობა და ძინიდი-სიანად აღსრულება, შეძლების დაგვა-რად, ნაკისრებ მოვალეობისა. ჰიპო-

ნიათ, მაგრამ ამ ფულის ღირებულებას დამცირებას კი არა ეშველა-რა ჯერ, ჯერობით, თითქო მართლა და უსაშველო იყოს იგი.

მმართველობა ამ ეჭვად მეტად მტკიცედ მოჰკიდა ფინანსების საქმეს და ეძიებს ყოველს ღონისძიებას, რომ რაიმე ნაირად განკურნოს სახელმწიფო საშიშარის სენისაგან. მრავალ მოსაზრებათა შორის ფულის ღირებულების აღდგენის შესახებ არსებობს ერთი, რომელიც მწერლობის ზოგიერთა წარმომადგენელთა მიანიათ საუკეთესოდ და უფრო ნაყოფიერად, ვიდრე რომელიმე დღემდის ხმარებული პროექტი. **ფინანსთა მინისტრი ბუნგე** ჰფიქრობს, რომ ფულის აღდგენისათვის ვითომ საჭირო იყოს მეტალიური სესხის გამოცხადება 700 მილ. მანეთზე, ე. ი. ამ ჯამის ოქროსა და ვერცხლის მოგროვება მთავრობის ხელში. სხვების აზრით, ეს ზომა ურიგო არ იქნება, მაგრამ ახალის სესხის გამოცხადებამდის საჭიროდ მიჩნიათ ძველი სესხების განაღდება, ე. ი. ქალაქის ფულის სესხის შეცვლა მეტალიურ სესხზე. მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლო იქნება ახალის მეტალიურის სესხის გამოცხადება.

ამ პროექტის მომხრეთ მოჰყავთ, სხვათა შორის, ის მოსაზრება, რომ იტალიამაც ამავე საშუალებით უშველა თავის დაცემულს ქალაქის ფულს და, თუმცა ექვსას მილიონს ჭრანკზე მეტი ისესხა მეტალით, მაგრამ ამ სესხის სარგებელს აუვიდა როგორც საზოგადო ეკონომიით, ისე იმით, რომ ქალაქის ფულის ღირებულების მომატების შემდეგ, იმდენი აღარ ეხარჯებოდა უცხო ქვეყნებში აღებული სესხის სარგებელზედ, რამდენსაც უწინ ხარჯავდა. რასაკვირველია, თუ რუსეთმაც ამისთანავე საშუალებით განიზრახა ქალაქის ფულის მნიშვნელობის აღდგენა, ეს ისე არ გაივიდის, რომ პირველში მაინც

ტეკა იყოს, თორემ ფულს სომხებიც გვაღალბენ და უფრო ნაკლებიც დაგვხარჯება იმაზედ, რაც ესლა ბანკზედ იხარჯება. ამის დასაჯერებლად საჭირო არის ცოდნა გირაფრობის წესების შესრულებისა და მისი შედეგისა, ორივე შემთხვევაში: კერძო პირთა და ბანკთა. **ზადავიდო** აქედგან და ახლანდის გაესინჯათ, თუ რაოდენად ულოგიკოდ უწოდა **ლიბერტი** მთიანმა სამთა კომისიის ზედამხედველი კომიტეტის წარმომადგენელი. **პრეზიდენტი** მოჰხსენს და მმართველობის წლიური ანგარიში და თან დაურთო ზედამხედველმა კომიტეტმა თავისი მოხსენება, რომ ეს ანგარიში გაესინჯეთ, შესახებ წიგნებთან შევსწორებოთ და აღმოჩნდა ყოველისფრით უნაკლებოდ და წესდების მოთხოვნის დაგვარად შედგენილიო. **პრეზიდენტი** მაინც დაიძახა სარევიზო კომისია ამოვიჩიოთო, რომელსაც მიუხედავად წინა წლების ანგარიშების გასინჯვაცაო. ეს რას ვინმეა, ეს

სხვა-და-სხვა გარდასახადების მომატება არ დასჭირდეს, მაგრამ მალე, ძალიან მალე ეს გარემოება საკეთილოდ იმოქმედებს მთელის რუსეთის შინაურს და გარეშე საქმეებზე; მაშინ რუსეთის ვაჭრობა და მრეწველობა აღორძინდება, უცხოეთშიაც ნდობას მოიპოვებს და თვით რუსეთის ხალხიც ცოტათიც არის სულს მოიბრუნებს.

შინაური პრობლემა

რაც **თბილისში** გუბერნატორის ალაგი გაიხსნა, ამ ალაგზედ სხვა-და-სხვა პირებს ასახელებდენ; ესლა თითქმის დაბეჯითებით ამბობენ, რომ გუბერნატორად იქნება უწინდელი **შარის** ოლქის უფროსი **ბროსმანი**.

მასწავლებელი **ალ. ნათაძე** გეთხოვს გამოცხადებით შემდეგი ანგარიში: 25 აგვისტოს სურამში საქველმოქმედო წარმოდგენა ყოფილა, რომლისაგანაც შემოსულა 59 მან. დახარჯულა: 1) სტენის დაქირავებაზე 10 მ., 2) მოთამაშებზე—9 მ., 3) მესურნეებზე—4 მ., 4) გრიმისათვის—1 მ. და 5) წერილმანი ხარჯი—2 მ. სულ 26 მან. დარჩენილა წმინდა მოგება 33 მან., რომელიც დანიშნულია პედაგოგიურ ჟურნალის «ნობათისათვის» და რომელიც თურმე თითონ **ალ. ნათაძეს** აბარია.

იმ **შენიშვნის** თაობაზედ, რომელიც ჩვენის ვაზეთის მე-170 №-ში იყო დაბეჭდილი, მღვდელი **ბებიევი** გეთხოვს გამოცხადებით, რომ იმას არ დაუწერნია ჯვარი **თუთბერიძის**ათვის მღვდლის ძიქნადის ქალზედ და ამის გვარი შეცდომით იყო ვაზეთში მოხსენებული.

ხაშურიდამ კიდევ საჩივარს იწერებინ სხვა-და-სხვა ყაჩაღობისა

რვა წელიწადია სულ გვეყურება სწორა, უტყუარაო, მაგრამ ბანკი თანდა-თან უღონოვდებაო. მას სჯობს სხვა გზით შევიტყუოთ ამისი სისწორეო და ეს სხვა გზა ვახლავსთ სარევიზო კომისია. რომ ეს სწორედ ასე ყოფილა შესამეცნებელი და ასეც შემეცნებულა მაშინვე, ამისი საბუთი არის ბანკის მმართველის სიტყვები კრებისადმი, რომ მაგ მოთხოვნილებით უნდობლობას უცხადებთო ზედა-მხედველ კომიტეტს და მით შეურაცხებას აყენებთო. თუ კრების მოთხოვნილება ასე არ გაგვრანთ, ამ სიტყვებს ამ დროს ადგილი არა ჰქონდათ.

ალბად ეს არ გაუგონია მიმოხილის დამწერს, თორემ ასე განცვიურებაში არ ჩეხარდებოდა მოურავის ამბავისაგან. «**ბანა**, ჩემო სვიმონავ, იმიტომ ვთხოველობ ანგარიშსა, რომ შენ არ გენდობოდე, მაგრამ აბა წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობაცა: დღეს არ ვიცოდე ჩემი საქმის გარემოება, ხვალ არ ვიცოდე,

და ავკაცობის გაძლიერებაზედ; სხვათა შორის, იქ თურმე ძალიან გახშირდა სახლების მზლვეველ საზოგადოებაში (სტრახში) შეტანა და მასუკან ცეცხლის წაქილება. ამ ბოროტ-მოქმედებას თურმე დიდი ზიანი მოაქვს, მეტადრე ამისთანა ადგილებში, რადგან ხშირად დაზღვეულ სახლებს გვერდით გლენ-კაცების ძნები და საბძლებია და ამ საცოდავების მონაგარს სხვა-და-სხვა სინილისზედ ხელაღებულები თავიანთ გაუმაძღრობასა სწირავენ და ხშირად დაზღვეულ სახლებთან ერთად ავარდებთ ხოლმე კვამლი ძნებასა და საბძლებსაც, რომელთაც, რა თქმა უნდა, მზლვეველი არსიადამ გამოუჩნდებათ.

ამავე დაბაში ამას წინადა შორის არხიტექტორს **პლანი** შეუდგენია და ქუჩები იმისთანა ადგილებზედ დაუნიშნავს, სადაც ხალხს სახლები აქვს აშენებული. ეს კიდევ არაფერი, პლანის შედგენის შემდეგაც არხიტექტორი თურმე ნებას აძლევს შენობების გაკეთებისას იმ ადგილებზედაც, სადაც პლანით ქუჩა უნდა გავიდეს. ან დაპლანვა რა იყო, ან პლანის ასე სასაცილოდ აგდებაო, გვერს კორესპონდენტი.

სოფ. რუსიდაგანა გვეწერენ: აქ ექვს აგვისტოს ფერისცვალება იცის. შუინ, ვიდრე ეკლესიას გარშემო დიდი მოედანი ჰქონდა, ფართობაც იყო; მაგრამ ამ ბოლოს დროს ეკლესიის ახლო ვილასიც განკარგულებით ღუქები აუშენებიათ, ასე რომ ხალხს მეტი გზა რომ არა აქვს, ეკლესიის გალავანში იყრის თავსა და ამის გამო ისეთი უსუფთაობაა ხოლმე, რომ მლოცავებს სასოება ეკარგებათ. ამას გარდა, თუმცა რუსიდაამ მარელამდე მხოლოდ ოთხი ვერსია, მაგრამ დაუღვერობით ისეა გზები წამხდარი, რომ სწორედ თავი გამომეტებული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამ გზას შეუდგეს: გზები რუებისაგან გაუუქმებულია, არსად ბოგირები, არსად

ზომ მუდამ მენს ხელში უნდა იყოს და ეს ყოველად შეუძლებელია, რადგან მოკვდავობის გარდა, ბევრი მიზეზი შეიძლება დაგვემთხვეს განშორებისა, რომელიც უეცრად დამტოვებს უმოურაოდაც და ჩემი საქმის უცოდნელადაცა.»

ეს პირველი მოთხოვნილება კრებისა, მიქუხებით იყო, მიჭექებით იყო თუ მიბზულებითა, რაკი ასეა გასაგონი და ასეც ყოფილა გაგონილი, რალა ადგილი ჰქონდა თავ-მჯდომარის კითხვას: «**ცალკე** სარევიზო კომისია გნებაეთო, თუ მაგ რევიზიას მიანდობთ თვით ზედამხედველ კომიტეტსაო». ამისთანა ლოგიკის სახელს აღარ ვიტყვი, რადგან წრეს გარეთია.

ვისა აქვს ახლა იმედი, რომ, ხუთმა, ან მეტმა სტქეა გაესინჯეთ, დაერწმუნდით და თქვენც გარწმუნებთო, რომ ყველაფრით საკმაყოფილოა და მეორედ იმათგანმა სამმა სტქეას: «**მაშინ** ყველამ ვიცრუეთ; არც ვაგვისინჯავს და არცა სისრულე გვიპოვ-

არხები, მუხლებამდის ტალახი იმისთანა ამინდშიაც ვერ უფრულდება სხვაგან მიწას გვალვასაგან უფროსად ასდის.

რუსეთი

— ამას წინადა ჩვენ მოვიყვანეთ რუსული გაზეთებიდამ ცნობა, რომ 1884 წლის დამლევს და 1885 წლის დამდგომს რუსეთში მოხდება საზოგადო ხალხის აღწერაო. მალა იწერებინ, რომ შინაგანთა საქმეთა სამინისტრო სახელმწიფო რჩევას წარუდგენს პროექტს ამ საქმის შესახებ მომავალ ოქტომბრის პირველ რიცხვებამდინაო. აღწერა ყველგან ერთს დღეს მოხდება კვამლებრივ და არა თითო პირისა კერძოდ, და სახელმწიფოს დაუჯდება ეს 3,000,000 მანეთამდის. შმთავრები ხარჯი მოუვა მოანგარიშეთ დასაჩუქრებაზე და რამოდენიმე მილიონ ბლანკების დაბეჭვდაზედ. ამ ხარჯს ერთის მხრივ სახელმწიფო ხაზინა გადაიხდის და მეორეს მხრივ თვით მცხოვრებლებს გამოართმევენ ბლანკების ფასს. საზოგადო აღწერის ერთს უმთავრესს საგანთაგანს შეადგენს ოც-და-ერთის წლოვანთა რიცხვის გაგება სახელმწიფოში.

რუსეთში მეჭაბრიკეებს გამართული აქეთ ღუქები, საიდამაც ჭაბრიკის მუშები ყიდულობენ სასმელსაქმელს და სხვა საჭირო სურათს. მალა პეტერბურლიდგან იწერებინ, რომ ეს ღუქები მაინებლობიაო და ამის გამო ჭაბრიკის საქმეების შესახებ დადგენილს კომისიაში აღუძრავთ საქმე იმაზე—შეიძლება თუ არა დაიხუროს ის ღუქები, რომელნიც ჭაბრიკის და ქარხნების მებატრონეებს ეკუთვნითო.

შახეთებს შეუტყუიათ საჩუქრო წყაროებიდამ, რომ გიმწაზიებში

ნიათ; ესლა კი კარგად გულ-დასმით შევამოწმეთ და იმისთანა ნაკლულევანებაც ვიპოვეთ, რომელიც უბირი თვალისათვისაც ადგილი დასანახი იყოო. **თე-მჯდომარის** კითხვიდან და მმართველის ნალაპარაკვიდგან მოკიდებული აქნამდინ ისევ ის აზრი არის, რომ უცხო კაცებს და მეტადრე **ღვეთ** მრისთავს და **ლიბერტი** მიუფიანს ხელში არ ჩეხარდნოდათ საჩხრეკი იარაღები.

ლია, კარგი და სპატიოსანი! **ბამოატაროს** წელიწადი ცულ-უბრალოდ სამთა კომისიამ და ბოლოს «**კოკასა**» მიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებისა, ისევ ის გამოაცხადოს, რაც გამოაცხადა მისმა მშობელმა კომიტეტმა: «**все обстоит благополучно**». მაგრამ ამ ნამუსით გამოლაშქრება სხვის ლოგიკაზედ კი მეტის-მეტი ქვეყნის დაბრკვებაა და ნამუსის გაწყვეტა.

პრინციპებზედაც არის ლაპარაკი და მეც ბევრი რამ მეტქმოდა ამ საგანზედ, მაგრამ მიმოხილის მიხედ-

წევლით ცემის შემოღება უკვე გა-
დაწყვეტილია და ამ საქმის თაობაზე
ციკლოლიარი კიდევ გაუგზავნიათ გიმ-
ნაზიებისათვის.

უცხოეთი

წინა დღეებში ჩვენს მკითხველებს
ცნობები იმ მდგომარეობის შესახებ,
რომელიშია ჩაყვანილი საფრანგეთის
ყოველ წაირი მონარხიული დასები
გრაფი შამპორის სიკვდილის შემდეგ;
ეცნობებთ აგრეთვე ის უთანხმოებას,
ის არეულობას, რომელიც მათ შო-
რის მოხდა შესახებ იმისა—თუ ეს
მიემხრონ იგინი ამ ერთად-ერთის კა-
ნონიერი ტახტის მემკვიდრის შემდეგ
და ვინ აღვიარონ მის მემკვიდრედ;
მოვიხსენიებთ ისიც, რომ შამპორის
სიკვდილმა უკანასკნელი იმედი და
სასოება დაუკარგა მათ და რესპუბლიკა-
საც მოაუსპო ცოტათ თუ ბევრად
საშიში უკანასკნელი მტერი, რის გა-
მოც ის უფრო მტკიცე საძირკველზე
დაფუძნდა და ეჭვი აღარავისა აქვს,
რომ მას ვერაფერ და ველარაფერი ვერ
შეარყევს.

მხლა, რამდენადაც საშუალება ნე-
ბას გვაძლევს, ვეცდებით მოკლედ
გამოვსახოთ გაზეთებში მოყვანილ
ცნობათაგან ამ სახელმწიფოს ეხლან-
დელი მდგომარეობა.

იმის გარდა, რომ მის სახელმწიფო
წყობილებას მთელი ქვეყანა თანაუგრძ-
ნობს, რესპუბლიკის მკვიდრად დამყა-
რება ამასთანავე სრულიად ეთანხმება
საზოგადოდ მერობის ინტერესებსა.
მართალია, საფრანგეთში გარეშე პო-
ლიტიკის საქმე ვერ არის კარგად დაყე-
ნებული და ეს იქიდან წარმოსდგება,
რომ მმართველნი პირნი მეტის-მეტად
ხშირად იცვლებიან და ამის გამო
შეუძლებელი ხდება ერთობა და თან-
ხმობით მოქმედება. აქედანვე წარ-
მოსდგება საქმეთა წარმოებაში მუდ-
მივი ყოყმანი, გაუბედრობა და, ზოგ-

ვით პრინციპები კერძო საკუთრებად
გამხდარა და ყველა კაცს თავ-თავისი
საკუთარი, სხვის შეუხებელი, პრინ-
ციპი ჰქონია და, რაკი ამ მიმოხილ-
ვის დამწერი სახელდობრ არა სჩანს,
არ ვიცი რომელია მისი პრინციპი,
რომ იმით ვუსაბუთო.

თუმცა მაკიაველის ზნეობის პრინ-
ციპი შეიძლება, მაგრამ ეს ბევრის სა-
კუთრება არის და რომელს მოვიკიდო
ხელი.

მიმოხილვის გამო, რაც ითქმოდა
ბანკზედ და მის საქმეებზედ, ესთქვით
იმოდენადაც, რაოდენადაც ნებას გვაძ-
ლევს ამ წერილის შემოკლების სურ-
ვილი. მაგრამ ამით ჯერ კიდევ ვერ
გავსწორდი ჩემ ბატონ მიმოხილვის
დამწერთან. მერ გავსწორდი, რად-
გან ჯერ არ დამიმტკიცებია: რით
არის და რა გზით მისი ლოგიკა
მკვლელი ბანკისა.

შოველი ქართველი კაცი, და მე-
ტადრე თავად-აზნაური, ცნობილია
ზანტობით, დაუდევრობით და ხში-
რად უადგილო გულ-კეთილობით.

ჯერ, ერთმანერთის წინააღმდეგი მო-
ქმედებანიც. შინაგანი პოლიტიკის
საქმეებს პარლამენტში სჯიან საქვეყ-
ნოდ, თავისუფლად და გულ-წრფე-
ლად; გარეშე პოლიტიკის შესახებ კი
ეს არ ითქმის: როდესაც გარეშე სა-
ქმეებზედ სჯა აქეთ, არც ერთი გა-
რეშე საქმეთა მინისტრი არ განხნის
რუკას და არ გამოაცხადებს ნამდვილს
საქმის მდგომარეობას, ვიდრემდის სა-
ქმე-საქმეზედ არ იქნება მოყვანილი
და უკანასკნელი მოსაზრება არ იქ-
ნება შემდგარი; ამიტომაც პიროვანს
შეხედულობას, მსჯელობას გარეშე
პოლიტიკის კითხვებში უფრო დიდი
მნიშვნელობა აქვს, უფრო დიდი აღ-
გილი უჭირავს, ვიდრე შინაურს პო-
ლიტიკაში, და, სწორედ, ამითიც
აიხსნება ის გარემოება, რომ საფ-
რანგეთის რესპუბლიკას დაარსებიდან
შინაური საქმეები უფრო კარგად
მიჰყავს, ვიდრე გ. კ. შე.

ბავთი «ნოვოსტი» ამ საქმის
შესახებ მოწინავე წერილს უძღვის
საფრანგეთის გარეშე პოლიტიკას
და, რასაკვირველია, იწვევს მას
რუსეთთან ერთად კავშირის შე-
კერისათვის. ის ამბობს: «ეჭვი არ
არის რომ უმთავრესს ლტოლ-
ვილებას საფრანგეთის პოლიტიკისას
მშვიდობიანობის სურვილი შეადგენს.
ეს იქამდინ ცხადია ეხლა, რომ შე-
იძლება თამამად ითქვას—არც ერთი
გარეშე საქმეთა მინისტრი არ მოიქ-
მედებს იმას, რასაც შეუძლიან საფ-
რანგეთი ომიანობაში ჩააგდოს. მსეც
ნამდვილია, რომ თვით საფრანგეთის
ხალხსაც მშვიდობიანობა სურს და
ერთდება იმისთანა შემთხვევებს, რო-
მელთაც შეუძლიან ომიანობა გა-
მოიწვიონ. ამისათვის რუსეთი, რო-
მელსაც მშვიდობიანობა სურს და სა-
ჭიროებს კიდევ მასში, დიდის თან-
გრძობით უნდა ეყრობოდეს საფ-
რანგეთის გარეშე პოლიტიკას. რუსეთი,
როგორათაც საფრანგეთი, გრძნობს,
რომ ამ ორთა სახელმწიფოთ მშვი-

ბანკის საქმე მოითხოვს ძლიერს
მხნეობას, მუდმივ თვალ-ყურის დე-
ნებას და სასტიკ პირუთნებელობას.

ამისთანა ხასიათების პატრონს თა-
ვად-აზნაურობას აქვს ბანკი სრულე-
ბით წინააღმდეგი ხასიათებისა.

თუ ან ერთმა არ შეიცვალა ხა-
სიათები, ან მეორემ, ამათი ერთო-
ბა ყოველად შეუძლებელია და ყოვე-
ლი ნამდვილი, ქვემარტი მოყვარე
ქვეყნისა უნდა ხელს უწყობდეს, რომ
ეს უთანხმოება, ეს მიზეზი მომავალ-
და მოსალოდინებელ—ბანკის დარ-
ღვევისა მოსპოს, განაქარვოს, ან უ-
სე ვთქვათ, ის ხასიათები შეათანხ-
მოს, ისე შეაუღლოს, რომ ორივე
ერთ მხარეს იწვედენ და არა სხვა-და-
სხვასა.

ბანკის ხასიათები, როგორც ზემოთ
სწერია, ბუნების თანახმაა, უცვლელ-
ბელია და ყველგან ერთგვარი; მა-
შასადავ, ამის შეცვლა საქმის წაუხ-
დენელად არ მოხერხდება.

მართველი კაცის ხასიათები წარ-
სული მისი ისტორიის უბრალო და-

დობიანობის დაცვა შეუძლიან მხო-
ლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე
ერთად, ხელის-ხელ ვადაბმულნი მის
მხარეს, მის დარაჯად იქმნიებიან.
მერმანის სახელმწიფო სახმედრო
მხრივ ეხლა ისე ძლიერია, რომ ნამ
მხრივ მას ვერაფერ შეედრება, და ეს
ძლიერება, რომელიც ავად-მყოფს,
ბრაზიანს და თავ-გასულს ბისმარკს
დაუბლუჯავს ხელში, თრიალ საშიშია
მერობის მშვიდობიანობისათვის. რუ-
სეთი და საფრანგეთი ერთს მდგომა-
რეობაში არიან, ორივეს უბღვერის
ბისმარკს თვალებით გერმანია და
ამისთვის მათი სურთიერთ შორის კავ-
შირი საჭიროა და ლოგიკურია. იგი
არც ხელ-წერილობის შეცვრას საჭი-
როებს და არც სახელმწიფო მოქმედ-
თა ერთმანეთის ნახვას და მუდმივ
მოლაპარაკებას. რუსეთიც და საფ-
რანგეთიც თავის მხრივ გრძნობენ
თავიანთ ძალას, გააუმტულან და რუ-
მად აღვენებენ თვალ-ყურს ბისმარკის
გაცხარებულს მოქმედებას. შექველია,
რუსეთი იქამდინ აღარ მიუშვებს გარ-
მანის, რომ იმან მეორედ გაქვილი-
ტოს საფრანგეთი და საფრანგეთიც
თავის მხრივ არ მოუთმენს მას ისარ-
გებლოს რუსეთის ცუდის მდგომარე-
ობით და მერობის მშვიდობიანობა შე-
არყიოს თავის სახმედრო ძლიერების
უფრო გასაძლიერებლად, რის წვენიც
ისე მწარედ სწენია საფრანგეთში.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორ! თუმცა ძრავლ მკე-
ლე ხანმა გაიარა მას აქეთ, რაც მე ქარ-
თულ ლიტერატურაში ვმრძობ და
განსაკუთრებით თქვენს პატრიოტულ
გაზეთში, მაგრამ მანც ამ ხნის გან-
მომავლობაში მე ჩემი მკითხველები შე-
კვირებენ—მართლაც რიცხვით მცირე—რო-
მელთაც ჩემის კალმის ნაწარმების წა-
კითხვა ესამოკუნებლად, უმრავლესობა
კი თქვენს გაზეთის მკითხველებისა, რო-

ნაშთენია და ნამდვილი ბუნების წი-
ნააღმდეგი; მაშასადამე, ცვლებას
მოვლის საუკეთესოდ, სანაყოფი-
როდ.

მაშ ქვეყნის მოყვარემ ამ ხასია-
თებს უნდა მიჰმართოს და ყოველის
ლონის-ძიებით, ყოველ-მცირე შემ-
თხვევათა დაუკარგველად, ხელს უწყ-
ობდეს, რომ ქართველი მოერიოს
თავის სიზანტეს და შეეჩვიოს სასტიკს
პირ-უთნებელობას, მეტადრე ამ ყო-
ველად მაცთურ—უულის საქმეში.

ჩვენს ბანკში როგორა ეხედავთ?
«შენ რათა სწუხდები, ამაოდ თავს
იტყენ და შინაურს საქმეებსაც სცდ-
ები; აქ არა გყავს ზედა-მხედველი კო-
მიტეტიო, რომელიც ერთს ფარს არ
გადაცვლს»,—ეტყვიან კრებას და
ესეც, როგორც ზანტი და გულ-დამ-
ჯერო, მიანებებს თავსა.

მეორე შემთხვევაში უთხრეს: «ხომ
მოგახსენა კომიტეტმა, რომ ყველა-
ფერი მშვიდობით არისო, თქვენკი
რევიზიის თხოვნით უნდობლობას
უცხადებთო; ეგ ხომ უმადურობა

გორც თქვენ თითონ მარწმუნებთ, თურ-
მე უგმფოფიოდლ დაწინაურს ჩემს მუდ-
მივ თანამშრომლობაზედ «დარტაში».
როგორც პირველთათვის, ასე მეორე-
თათვის სასტიკურსა იქნება შეუტოვნ,
რომ მე ამოვიდგან თანამშრომლობას
აღარ მივიღებ თქვენს გაზეთში.

მიზეზი ჩვენის გაუფრთხილად
სიტყვით გამოხატება: ჩვენ ერთმანეთს
ხმება ვერ შევიწყეთ.

თქვენის გაზეთის ყოველის მხრით
წარმატების მსურველი.

დავით სოსლანი (კეზელი).
თბილისი.
5 სექტემბერს.

ბ. რედაქტორ!

განსაკუთრების მამისჩემისაგან მე ხში-
რად გამოგონია, რომ ჩვენს საგვარეუ-
ლში მრავალი ხელთ-ნაწერი ძველი
წიგნები აზრებოდა. მე თვითონ ჩემის
თვალთ მინახავს განსაკუთრების ბიბი-
ოთეკის ტარასის სადგომში (წმინდა და-
რას) ერთი დიდი თხის სასვე წიგნ-
ებით, სულ, რასაკვირველია, ხელთ-ნაწე-
რით. სად ჩანთქა ამოდენა სიმდიდრე
წიგნებისა, როგორათაც ტარასისა, აგ-
რეთვე მთლად ჩვენის საგვარეულოსა,
უწყის დემტომან და იცინ მათ, ვისაც
იგინი დაუტანიათ. მართლაც, არც მა-
მის-ჩემის ორი განჯინა და ერთი ზან-
დუგი, გავსილი ძველებურის წიგნებით, ჩა-
მოურჩებოდენ უკან ტარასის წიგნებს,
მაგრამ მათაც ის სხება დაეძრათო, რაც
სხუებს ემართებოდათ, ესე იგი ჩვეულებ-
ისამებრ თხოვნა დროებით წიგნებისა
და მათი გაქრება.—ამ წელს, ივნისში
მომისდა მე თელავში წასვლა. პირველი
მკითხვა ჩემი იყო წიგნების თაობაზედ;
ადმოჩნდა, რომ იმ აუარებულ წიგნებში
აზრება მხოლოდ ხუ წიგნი. სხუებისა
კი მიაძხეს, რომ რომელიც უფრო საუ-
კეთესო იყო, ადრევე წავლო ერთს ბერს
დროებით (გვარს არ ვაცხადებ) და ის
დროება გადაქვეყნდეთ საბოლოოთ და
წიგნები, რასაკვირველია, უკან აღარ დაბრუ-
ნებულდებოდენ. აგრეთვე აღარსად სჩანს კებე

არის კეთილი სამსახურის ნაცვლა-
დაო. აქაც სიზანტეს გულ-კეთი-
ლობა მიეშველა; მართლა ამ უსას-
ყიდლო სამსახურის უმადური არ
გამოვდგო და მიანება თავი.

«მაშ მე კაცი არა ვყოფილვარ,
ვაქო», ლუარსაბ მათქარიძისა არ
იყოს, თუ ამისთანებს გამოვუღე.

მესამედ იმას ეტყვიან, რომ ამდენი
ხანია ზედამხედველი კომიტეტი
გყავთ, სარევიზიო კომისიაც ხომ
გყავდათო, მაგრამ ვერა გაიგეს რაო.

თუ ამათ ვერ გაიგეს, თქვენ უფრო
რას გაიგებთო. სიზანტეს და გულ-
კეთილობას აქ დაერთვის დაუდევრო-
ბაცა, რომელიც დიდი ხანია ჰფიქ-
რობს საქმე ცუდად მიდისო და ახ-
ლა რომ სრულებით დარწმუნდება,
ურჩევს თვისს ამხანაგებს ამ თქმას:
«ჯანდაბას ბანკიცა და მისი მოქმე-
დებაცაო!»

აღქმის კვლავი.
23-ს აგვისტოს 1883 წელს.
ს. მონი.

ცხოვრებისა და ვით რეპტორისა. «ვი-
ბე ცხოვრებისა» იყო ნახატი თითქმის
ათს თანახმად, ჩამოსავლი გველზედ.
მხატვრობა, როგორცაჲც მუ მასსოკს,
წინამდებარეა რ-გარ კიბეს 80 სხ-
ვესურით; პირველს საფურსზედ, რა-
მელიც დიდება ზეით, იდგა ერთის
წლის ბაში. მორეზედ მორის წლისა,
მესამეზედ მესამისა; ტანის წლოვანებს
შეფერებოდა. ამ გვარად დიდობა
საფურსი კიდრე შუადმდე, სადაც იყო
გამოსატული ხოვანი შუა წვერისაი გა-
ცი, ზღვარ მოსილი, გადაჯვარდინებულ
ფურსით, მარცხენას ხელში უკირს მას
დაბჯინილი შუბი და მარჯვენას ხელში
სასწორი. შემდეგ ამისა, საფურსი ემ-
გებოდა ძირს კიდრე 80 წლამდინ, აქაც
იყო გამოსატული მოხუცი გაცი მოდრე-
კილი წელში, თეთრის თმით და გრძე-
ლის თეთრისაჲც წვერით, დაბჯინილი
ორსაჲც მსრეე უკარჯუნზედ. სურათები
წლოვანობის გამო ცვლილებით იყვნენ
გამოსატული. კიბეს ირგვლივ კვლე-
ვარაყინი და სხვა-და-სხვა ფერგონობით
შეძველი, ერთი ერთმანეთზედ გადაგრე-
ხილი ვაჟის ფოთლები და მუხისა,
თუ დაფინისა, აღარ მასსოკს. კი-
ბის ძირს იყო შენიშვნა, სადაც იხსენ-
ბოდა გაცის თვისება და მიდრეკილება
წლოვანობის გამო, ასე რომ წელიწადის
მოძაბება, ანუ კიბეზედ ასვლა და აგ-
რეთვე ჩამოშვება, რას უმატებდა გაცის
ან აკლებდა, ხსნიდა ის შენიშვნა. მხატვ-
რობა იყო მართლად გარკვე სანახაი და
თითქმის უწინარი, რომ კიდრე არ შე-
კვსოთ იმ მკვლევარს ძვირფასობას. მო-
ძებულები ნაწილი დაგარეულის წიგნები-
სა იყო თხზულება დავით რეპტორისა
და ამ 55 წიგნისაჲც უფრო მისივეა.
სხვათა შორის, მასჲც მუ ამ უმაღლ მშვე-
ნიერი სპილოს ძეგლის ჭანდრაჲც გამო-
ქანდაკებული, ოქროს საათი და პატარა
დურბინი, ნაბობები, კვანძები, მუფე გიორ-
გისაგან დავით რეპტორისათვის. ამ ზე-
მოხსენებულ წიგნებს გუძღვნი მუ საზო-
გადრობას, რომელიც აგრძელებს ქარ-
თულს ენას. უმორჩილესათა გთხოვთ,
ბატონო რეპტორო, თუ შესაძლებე-
ლი იქმნება, მისცეთ თქვენს გასუთში ამ
ჩემს შენიშვნას ადგილი. აი სია წიგნე-
ბისა:

- 1) ზედ დადგინება მეტაფიზიკისა.
- 2) პანტონი.
- 3) თატრონი პოლი-
ტიკა.
- 4) განხორკვა საზოგადოდ გაც-
თა სხისა (დოქტრინა).
- 5) ტრია-
ლის დარღვევა.
- 6) იოანე დამასკელის
კატელორია.
- 7) მონტესკიუ I და II ნა-
წილი.
- 8) აღწერა საცხოვრებელთა ად-
გილთა, ზნეთა, ჩვეულებათა, ქსეულისა
და სხვ. აფრიკეთისა არბთასა, რა-
მელიც იწოდებოდა ბედუინად.
- 9) სუ-
ლიერი სასარგებლო სწავლა.
- 10) ფრი-
დოლანია.
- 11) შემოკლებული მოთხრო-
ბა ცხოვრებისა და მოქმედებათა, მუსულ-
მანთაგან წინასწარმეტყველებად აღსარე-
ბულის მასშედისა, სიძისა მისისა ალია-
სი და შვილთა ამა ალიასათა და უსეი-
ნისა.
- 12) ანდაზები ბადავირისა.
- 13) აღწერა დღეთა კვირისა, რომელ არს
პეტრონი საკტლოთა და სამთვარათა.
- 14) მოკლე მწვერებრეი სწავლა აგრე-

სათვის. 15) სიკვდილი დიდ მოურავისა
სააკადისა. 16) ანტონისა მიერ არხე-
ვისგობისა თავითანისა კატელორია-
თა არისტოტელითაჲც შეყვანილება. 17)
ტანდრი წმინდისა სოფთასი კონსტანტი-
ნებოლში. 18) აღწერა ქალაქისა ღვთი-
სა იერუსალიმისა. 19) ძნელად საზო-
ვართთა ნივთთა სახსოვარი. 20) ძლე-
ვისათვის მტერთაზედა ქრისტესა მოს-
სელისა მხედრობისათა. 21) ელენისა
გასტილიური. 22) შესხმანი სხვა-და-სხვა-
თა დღესასწაულთა ზედა, გალქსილინი.
23) სახსოვარი იშვიათა საზოგადოთა ქმნუ-
ლებათა. 24) აღწერა აია სოქიას დი-
დებულისა ტანისა. 25) რომელნიმე
სულისა სასარგებლონი მოთხრობანი.
26) სხვა-და-სხვა მოთხრობა. 27) დი-
დიმარა გურისა. 28) აღწერა სამხედრო-
თა მოქმედებთა ალექსანდრე დიდისა
მეფისა მაკედონელისა. 29) ქართლის
ცხოვრება. 30) განყოფილება ღვთის
მეტყველებისა. 31) იოანე ჯანაპურიან
ორბოლანისა ქართულისა მსახურისა
მიერ სიტყვაება (კავშირი). 32) საზო-
გადო რეკლამები. 33) აღწერა წამები-
სა წ. ჭეთვან დედოფლისა. 34) მუწმი
ისტორია ეგვიპტელთა, კართაგენელთა,
ასირიელთა, ბაბილონელთა და სხვათა
ტომთა. 35) ცხოვრება ესოპისა. 36)
მარნუხი ანდრემი მშრომელისა. 37)
მოხსენების წიგნი. 38) ცხოვრება სა-
ქართველოს მეფისა ირაკლისა II-სა. 39)
აღწერა ვნებთა დარჯვისის არხიმანდრი-
ტის პაფნოტისა. 40) ისტორიულია გა-
მოსატულება საქართველოსა. 41) მო-
ხსენება ქალაქის თბილისისა სპარსეთის
უაგის უაგრის აღმამწამ-ხანისაგან. 42)
აღსნა პორთუგისა შეყვანილებისადმი.
43) ცხოვრება და მოქალაქობა ნეტარისა
ანდრასისა, რომელი იქმნა სალას ქრის-
ტიანთისა. 44) ინსტრუქცია ჩვენდა მო-
მართთა მანგობელთა ადგილებთა. 45) უწ-
ეება მიზეზსა ქართულისა მოქცევისასა, თუ
რომელთა წიგნთა შინა მოხსენებისა. 46)
ჩანდავრამიანი. 47) რეტორიკა სეკს-
ტიანისა. 48) დაუფლომელი. 49) წინა-
სიტყვაობა ფილოსოფოსისათვის და
ნახულისა მისთა. 50) აღსარების წიგნი.
51) ეპისტოლია ავაროზ მთავრისა. 52)
მოკლე აზრი ყოველთათვის სწავლათა
საქმანდა ურმათა საქართველოსათა. 53)
სინდისის წიგნი. 54) ვინ იყვნენ ეპის-
კოპოსნი, ანუ საილამ იწყებან საქარ-
ველოსა შინა. 55) უსასულო ნარევი წიგ-
ნი.

განხილვანი
ჩვენ გვსურს ავიყვანოთ უმაწვი-
ლები ნახლებნიკათ. (ქალი თუ-
ვაჟი სულ ერთია). მსურველთ შე-
უძლიანთ მოგვმართონ შემდეგის
ადრესით: გუგიაში ახალი არსენ-
ლის ქუჩა ილიკო მანდივის საბ-
ლი № 24. (5—4)

გიორგი ნ—მე იოსელიანი იყვანს
ყმაწვილებს პირობით ყოველ-გვარ
სასწავლებლებში მოსამზადებლად. ძა-
ლონი, ძურციის სახლებში № 90-ე.
(3—3)

ინგლისის მალაზია
Maison de confiance

შეღარეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაი
1 შ. 10 კ.	1 შ. 40 კ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50
საუკეთესო 2 — „	— — 3 — „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თო-
ფები, რეკლავები, კრავატები, ჭურ-

ჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დაწები,
გოჯები, ტაშტები, კალქები, ქაღალდი,
შოკოლადი, კაჟაო, კანფეტები, მურაბე-
ბი, მაგნუზია, უნაგირები, კვლეონკა,
წინდები—გაცის და ქალის, ხელ-სახო-
რები, მაკინტოშინ კვლეონკორი—სულ
ვეკლავფერი 25-დამ 50 პრეტენტიო უფ-
რო იათად, კიდრე სხვა რომელსამე მა-
ლაზიაში.

ვინც ქალაქს გარდამ 25 მანეთად
1,000 მანეთამდინ საქონელს გამოი-
წერს, გასაჯგანს არაფერს არ ის-
დას. (100—29)

ინგლისის მალაზიაში

თიის-სომეხანი  **გამ-მასტარი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ
ფერს აძლევს, ფასი ერთი შუმი-
სა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი
და 28 კან.

(100—36)

საკლობუსო  **კალმები**

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი
სააკვებო—ინგლისის მალაზია. იქვე აქარებული სხვა-და-სხვა გვარის კალმები,
ყოველის „ხელისათვის“—25% იათად, ვინც სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი,
კანფეტები, რეკლავები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმბინაგები, პორტ-
სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატები, სამართებლები, სანთელი, სალესი,
ცარაშვები ჭურჭლებისა წამდად (ბორაკსი), თეთრულისათვის, პატარა ხაღვი,
იატრისათვის კლიონკები, ტანტები, საჯარძლები, სარკები, საჯარცისლები, ბუმბი-
ნნი, ზარები, ბინოკლები რუდეტები, ვატრუშასები, მზის-სათები, კამპასები,
ტერმომეტრები, მუწკები, ნემსები, მაგნატები, სვისტოვი, პომეჩი, ქამრები,
სარტყლები, საყელური, პრობები, საპრობები, კრანები, ფილტრები, შროტები,
თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტისაი მაკინტოშები, კრავები, საყქიძო
ქაღალდი კატერ-გლოზებისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშვი—20 კ. (100—77)

მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბი-
ლისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-
დახელ 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამ-
დე 1883 წ.

გამომცხვარი შური რუ-
სეთის ფქვილისა — — 1 გირ. 5 კ.
აჭურის ფქვილისა: პირ-
ველის ხარისხისა — — 1 გ. 2 1/2
მეორისა — — — 1 გ. 2 კ.
იმავე ფქვილ. თორნიში გამომცხვარი:
პირველის ხარისხისა — 1 გ. 5 კ.
მეორისა — — 1 გ. 3 კ.
მესამისა — — 1 გ. 2 1/2

ჯვარის-მამის შური:
პირველის ხარისხისა 1 გ. 5 კ.
მეორის ხარისხისა 1 გ. 3 კ.
მესამისა — — 1 გ. 2 1/2

ძროხის ხორცი:
პირველის ხარისხისა — 1 გ. 8 კ.
მეორის — — 1 გ. 7 კ.
სუფი . . . — 1 გ. 15 კ.
ცხვრის ხორცი — 1 გ. 8 კ.

რკინის გზა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდან ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდან ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდან თბილისისკენ
12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდან ბათუმისა და
ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდან ბათუმიდან მომავალს
თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდან მომავალი შემოდის
თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.